

შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“ 212677094

სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური ფინანსური
ანგარიშგება

და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება გვერდი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე	5
ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება	6
ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის ცვლილების შესახებ	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება	9
სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11-25

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს “ქუთაისის უნივერსიტეტი -ში” (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოთა სტანდარტის შესაბამისად („მსს ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევისა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული მსს ფასს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები მსს ფასს-დან წარმოდგენილი და ახსნილი; და
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში კომპანიის ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 30 იანვარს. სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილია

რექტორი

ლელა ქელბაქიანი



[Handwritten signature]

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს “ქუთაისის უნივერსიტეტი“-ს (212677094) (შემდგომში „კომპანია“) თანდართული საპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება“), რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის, ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს

ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება.

- ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობასა და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის მსს ფასს სტანდარტების შესაბამისად.

30 იანვარი 2020

ინდივიდუალური აუდიტორი

დავით რობაქიძე SARAS-A-455106



მაგდა ბასილაძე

დირექტორი



მაგდა ბასილაძე

შპს "ქუთაისის უნივერსიტეტი" 212677094
ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება
(თანხები გამოხატულია ლარში)

	12/31/2018	1/1/2018
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	4,689,764	771,967
გადავადებული საგადასახადო აქტივი		13,139
არამატერიალური აქტივები	45,695	14,388
გრძელვადიანი მოთხოვნები	138,962	
	4,874,421	799,494
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	106,488	176,220
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	203,566	237,634
საგადასახადო აქტივები	4,048	8,933
მარაგები	3,641	3,132
მისაღები დივიდენდები და პროცენტები		
	317,743	425,919
მთლიანი აქტივები	5,192,164	1,225,413
მთლიანი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	100,050	1,300
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	4,843,044	871,281
ფონდები და რეზერვები		291,215
გადაფასების რეზერვი		
	4,943,095	1,163,796
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები	138,962	0
გრძელვადიანი სესხები	50,000	
	188,962	0
მოკლევადიანი ვალდებულებები		
გადავადებული შემოსავალი		
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11,368	8,807
გამოუმუშავებელი შემოსავალი	48,544	52,810
საგადასახადო ვალდებულებები		
სახელფასო ვალდებულებები		
გადასახდელი პროცენტი	196	
გადასახდელი დივიდენდი		
	60,108	61,617
მთლიანი ვალდებულებები	249,069	61,617
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები	5,192,164	1,225,413

რექტორი

ლელა ქეღაძე



[Handwritten signature]

შპს ქუთაისის უნივერსიტეტი“ 212677094
 სრული შემოსავლის შესახებ ანგარიშგება
 თანხები გამოხატულია ლარში

	12/31/2018
ამონაგები	716,779
თვითღირებულება	
საერთო მოგება	716,779
სხვა შემოსავლები (გრანტები და სხვა)	193,217
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	1,126,194
მიწოდების დანახარჯები	18,569
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	170
სხვა შემოსავალი/ ხარჯები	
საოპერაციო ხარჯები	1,144,763
საოპერაციო მოგება	(234,596)
ფინანსური შემოსავალი	1,491
ფინანსური ხარჯი	4,410
ფინანსური ხარჯი - წმინდა	(2,920)
მოგება დაბეგვრამდე	(237,516)
მოგების გადასახადი	
პერიოდის მოგება	(237,516)
სხვა სრული შემოსავალი:	
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან	3,920,465
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	3,682,949

რექტორი

ლელა ქელბაქიანი



[Handwritten signature]

შპს "ქუთაისის უნივერსიტეტი" 212677094

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ისტორიული ღირებულება	დამფუძნებლის შენატანი	გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)	რეზერვები	სულ კაპიტალი
2016 წლის 31 დეკემბრისათვის	1300	879423	291215	1171938
წილის კაპიტალის შევსება	0	0	0	0
წმინდა მოგება (ზარალი)	0	33153	0	33153
გამოცხადებული და გაცემული დივიდენდი	0	40000		40000
2018 წლის 01 იანვრისათვის	1300	872576	291215	1165090
წილის კაპიტალის შევსება	98750	0	0	98750
წმინდა მოგება (ზარალი)	0	3682950	-291215	3391735
გამოცხადებული და გაცემული დივიდენდი		3696		3696
რეკლასიფიკაცია		291215		291215
2018 წლის 31 დეკემბრისათვის	100050	4843045	0	4943095

რექტორი

ლელა ქელაძე



შპს "ქუთაისის უნივერსიტეტი" 212677094

ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	31-12-18
ფულის მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან	
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	722,383
გრანტის სახით მიღებული ფულადი სახსრები	171,157
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-282,384
თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-37,411
შრომითი გასამრჯელოები	-603,834
სტიპენდიები	-9,760
გადასახადები	-171,555
ფულის მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან	-211,403
ფულის მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან	
მიღებული სესხები	150,000
გადახდილი სესხები	-100,000
საწესდებო კაპიტალის ზრდა(შემცირება)	98,750
მიღებული პროცენტი	1,491
გადახდილი პროცენტი	-4,214
ფულის სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	146,027
ფულის მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან	
მიღებული დივიდენდი	
გადახდილი დივიდენდები	-3,511
ფულის სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-3511.2
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებზე	-845
ფულადი სახსრების ცვლილება პერიოდში	-69,733
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	176219
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	106487

რექტორი

ლელა ქელბაქიანი



[Handwritten signature in blue ink]

1. ზოგადი ინფორმაცია

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

2.1 ანგარიშგების მომზადების საფუძველი

2.2 შესაბამისობის განცხადება.

2.2 შეფასების საფუძველი

2.3 შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

2.4 ძირითადი საშუალებები

2.5 საიჯარო აქტივები

2.6 არამატერიალური აქტივები

2.7 განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

2.8 განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების გაუფასურება

2.9 პროცენტები და დივიდენდები

2.10 ფინანსური აქტივები

2.11 ფული და ფულის ექვივალენტები

2.12 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

2.13 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

2.14 მოგების გადასახადი

2.15 გრანტები

2.16 გადავადებული გადასახადი

2.17 კაპიტალი

2.18 დივიდენდების განაწილება

2.19 ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები

2.20 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

2.21 ურთიერთგადაფარვა

2.22 აქტივების გაუფასურება, (გარდა მარაგისა)

2.23 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა შენიშვნები

სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საშუალებები

2. არამატერიალური აქტივები

3. დებიტორული დავალიანება

4. საექვო ვალების ანარიცხები

5. ფული და ფულის ექვივალენტები

6. მიღებული სესხები

7. კრედიტორული დავალიანება;

8. ამონაგების აღიარება.

9. არასაოპერაციო შემოსავლები

10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები (მ.შ გრანტით დაფინანსებული)

11. პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

12. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

13. იჯარით მიღებული შემოსავალი - კომპანია, როგორც მეიჯარე

14. სხვა მოთხოვნები

15. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

16. გადავადებული საგადასახადო აქტივები

17. მსჯელობები და შეფასების განუსაზღვრელობის საკვანძო მიზეზები

სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“ (შემდგომში - „კომპანია“) საიდენტიფიკაციო ნომრით: 212677094 იურიდიულ პირად დარეგისტრირდა საქართველოში ქუთაისის სასამართლოს მიერ (რეგისტრაციის N 12/4-362;) 1996 წლის 09 ოქტომბერს. კომპანიის იურიდიული მისამართი არის: საქართველო, ქ. ქუთაისი, წერეთლის, №13. კომპანია საქმიანობას ეწევა სახელწოდებით „ქუთაისის უნივერსიტეტი“

კომპანიის დამუშენებელი პარტნიორები არიან: 2016 წლის 01 იანვრიდან 2018 წლის 02 ნოემბრამდე პერიოდში - ლელა ქელბაქიანი (პ N 60002013527) - 50% ; ლაშა ლალიძე (პ N 60002000479)- 50%;

2018 წლის 02 ნოემბრიდან - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ევროპის უნივერსიტეტი (ს N201954956) (100%) წილი;

შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სამივე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს და სამეცნიერო კვლევებს.

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

დირექტორი - ნინო ხაზარაძე 60002000482,

რექტორი -ლალი ქელბაქიანი 01024052442,

2018 წლის 5 ივნისიდან

რექტორი დავით თვალთვაძე 60002000718, დირექტორის მოვალეობა დელეგირებულია რექტორზე

2018 წლის 02 ნოემბრიდან

რექტორი -ლელა ქელბაქიანი 60002013527, დირექტორის მოვალეობა დელეგირებულია რექტორზე

დასაქმებულთა რაოდენობა

	2018
დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა	81
სულ	81

2. მნიშვნელოვანი სადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა

2.1 ანგარიშების მომზადების საფუძველი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

2.2 შესაბამისობის განცხადება.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს პირველი ფინანსური ანგარიშგება რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად.

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში მსს ფასს) პირველადი გამოყენების მოთხოვნების გათვალისწინებით ნაწილი 35 „მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლა“. სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმისთვის რომ კომპანიამ შეძლოს მსს ფასს-ის სრულად შესაბამისი ანგარიშგების მომზადება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს შესადარის ინფორმაციის გადასვლის თარიღამდე პერიოდისთვის.

შესაბამისად, აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ განიხილება, რომ წარმოადგენს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების სრულ კომპლექტს რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის სრულ შესაბამისობაში.

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობამ გამოიყენა მოსალოდნელი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, ფაქტები და გარემოებები და საბუღალტრო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანია მოამზადებს პირველ სრულფასოვან ფინანსურ ანგარიშგებას მის ფასს-ის შესაბამისად.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის პირველადი გამოყენება. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 2018 წლის 31 დეკემბრის დამთავრებული პერიოდისთვის სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის ანგარიშგებას და სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას. ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

მის ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად, აქამდე კომპანიას არ მოუზადებია ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისად მის ფასს-ებზე გადასვლას არ გამოუწვევია საწყისი ნაშთების კორექტირება.

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამონაკლისები.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადება მის ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

2.2 შეფასების საფუძველი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს,

2.3 შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

შემოსავლები აღიარდება იმ შემთხვევაში, თუ ცალსახად შესაძლებელია ოპერაციის შედეგად ეკონომიკური სარგებლის მიღება და თანხობრივად ამ შემოსავლის საიმედოდ შეფასება. აღიარების მომენტი არ არის დამოკიდებული ეკონომიკური შემოსავლის ფაქტობრივად მიღების დროზე. შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები შეთავაზების სამართლიანი ღირებულებით გადასახადების გარეშე. ამ პროცესში გაითვალისწინება გადახდის პირობები. კომპანია წარმოადგენს გამყიდველს და არა აგენტს ან მინდობილ პირს ყველა მის შემოსავლის მიმღებ ოპერაციაში, მას აქვს ფასდადების პროცესის კონტროლი და მასზე ზემოქმედებს ოპერაციის შედეგად წარმოშობილი კონტრაგენტის საკრედიტო რისკი.

სპეციფიკური აღიარების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:

ყველა სხვა საზღაური, საკომისიო და სხვა შემოსავალი და ხარჯი, როგორც წესი, აღირიცხება დარიცხვის მეთოდით, გარკვეული ტრანზაქციის დასრულების მიხედვით, რაც დგინდება მთლიანი განსახორციელებელი მომსახურების ფაქტობრივად განხორციელებული ნაწილის გათვალისწინებით.

2.5 ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა გახორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვეითვით.

ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასიცოცხლო ვადა (წელი)
კომპიუტერული ტექნიკა	3-5
ოფისის აღჭურვილობა	2-5
შენობები	70
ნაგებობები	10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-6
ავტომობილი	5
სხვა აქტივები	10-20

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებას ან ზარალში.

2.5 საიჯარო აქტივები

იჯარა კლასიფიცირდება როგორც ფინანსური იჯარა, თუ მოიჯარეს გადაეცემა მესაკუთრეობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, გადასახდელი საიჯარო ვალდებულებები აღიარდება, როგორც მოგება ან ზარალი წრფივი მეთოდით საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

საოპერაციო იჯარის აღებასთან დაკავშირებით მიღებული წახალისება აღირიცხება როგორც საიჯარო ხარჯის შემცირება, წრფივი მეთოდით, საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში იქმნება რეზერვი საოპერაციო იჯარის არახელსაყრელი ელემენტის მიმდინარე ღირებულების ოდენობით. აღნიშნული წარმოიშობა, როდესაც კომპანია წყვეტს შენობა-ნაგებობების გამოყენებას და ისინი ვაკანტური რჩება იჯარის დასრულებამდე ან ქვეიჯარით გააქირავებს მათ საიჯარო გადასახადის სანაცვლოდ, რომელიც ნაკლებია კომპანიის მიერ იჯარის ხელშეკრულების თანახმად გადასახდელ თანხაზე.

2.6 არამატერიალური აქტივები

ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები

ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, მათ შორის საიმპორტო ბაჟს და უკანდაუბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო დისკონტების და ფასდაკლებების დაქვითვის შემდეგ და აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ნებისმიერ სხვა პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებისთვის დარიცხული ამორტიზაციისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

კომპანიის შიგნით წარმოქმნილი არამატერიალური აქტივები

როგორც წესი, განვითარების ხარჯები წარმოადგენენ კომპანიისთვის მნიშვნელოვან შიგნით წარმოქმნილ არამატერიალურ აქტივებს. ინდივიდუალურ პროექტებთან დაკავშირებული ხარჯების კაპიტალიზაცია ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია პროექტის სამომავლო ეკონომიკური სარგებელი და დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები: (ა) შესაძლებელია განვითარების ხარჯების ზუსტად შეფასება, (ბ) დადასტურებულია პროდუქტის ტექნიკური შესაძლებლობები და (გ) ხელმძღვანელობას აქვს განზრახვა და უნარი დაასრულოს არამატერიალური აქტივი და გამოიყენოს ან გაყიდოს იგი.

კომპანიის მიერ მართულ ბიზნესის სახეობაზე და კომპანიის მიერ მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, როგორც წესი, გონივრულად დადასტურდება ის ფაქტი, რომ არამატერიალური აქტივი წარმოქმნის სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს, პროდუქტის ბაზარზე გასვლამდე მცირე ხნით ადრე. აღნიშნულ დრომდე გაწეული ხარჯები არ ექვემდებარება აღდგენას.

კომპანიის შიგნით წარმოქმნილი არამატერიალური აქტივები ძირითადად დაკავშირებულია სუბიექტის შიგნით განვითარებულ პროგრამულ უზრუნველყოფასთან და დაპატენტებულ საავტორო გადაცემებსა და პროცესებთან.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, კომპანიის შიგნით წარმოქმნილი არამატერიალური აქტივები ექვემდებარებიან ზემოთ მითითებულ, ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივების სააღრიცხვო პოლიტიკას.

ამორტიზაცია

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია წარმოებს იმგვარად, რომ მოხდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურების 5-წლიანი ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

2.7 განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ასეთი აქტივების საბალანსო ღირებულება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს შემოწმდება გაუფასურებაზე და აქტივის გაუფასურების შემთხვევაში, ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგების ხარჯებში გატარებით. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდუდესი აქტივის გამოყენებით მიღებულ ეკონომიკურ სარგებელსა და რეალიზაციის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალურად აქტივისთვის, იმ შემთხვევაში თუ აქტივი წარმოქმნის ფულადი სახსრებს სხვა აქტივებისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. ხოლო თუ აქტივი წარმოქმნის ფულად სახსრებს სხვა აქტივებთან ან აქტივთა ჯგუფთან ერთად, მაშინ ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომელზეც მიბმულია აქტივთა ჯგუფი.

გამოყენების ღირებულება არის აქტივის/ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მომავალში გამოყენების შედეგად მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება. მიმდინარე ღირებულება გამოითვლება დაბეგრამდე დისკონტირებული განაკვეთებით, რომლებიც ასახავენ დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და იმ აქტივთან/ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულთან დაკავშირებულ რისკებს, რომლის გაუფასურების შეფასებაც ხდება.

2.8 განუსაზღვრელი სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების გაუფასურება

განუსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია წარმოებს სასარგებლო მომსახურების 10-წლიანი ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

2.9 პროცენტები და დივიდენდები

საწარმო ცალ-ცალკე უნდა წარადგინოს პროცენტებისა და დივიდენდების სახით მიღებული და გაცემული ფულადი ნაკადები. ამგვარი ფულადი ნაკადები წლების მანძილზე უცვლელად უნდა იყოს კლასიფიცირებული როგორც საოპერაციო, საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობა. მს ფასს _ საწარმოს უფლება აქვს, გადახდილ პროცენტებს, ასევე მიღებულ პროცენტებსა და დივიდენდებს მიანიჭოს საოპერაციო ფულადი ნაკადების კლასიფიკაცია, რადგან ისინი მონაწილეობს მოგების ან ზარალის განსაზღვრაში. მეორე მხრივ, გადახდილი პროცენტების, მიღებული პროცენტებისა და დივიდენდების კლასიფიცირება შესაძლებელია, როგორც საფინანსო და საინვესტიციო ფულადი ნაკადები, შესაბამისად, რადგან ამგვარი ფულადი ნაკადები ფინანსური რესურსების მოზიდვის დანახარჯებია, ან ინვესტიციებიდან მიღებული უკუგება.

საწარმოს უფლება აქვს, გაცემულ დივიდენდებს მიანიჭოს საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადის კლასიფიკაცია, რადგან ამგვარი ფულადი ნაკადები ფინანსური რესურსების მოზიდვის დანახარჯებია. მეორე მხრივ, გაცემული დივიდენდები ასევე შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების კომპონენტი, რადგან დივიდენდები გაიცემა საოპერაციო ფულადი ნაკადებიდან.

2.10 ფინანსური აქტივები

კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი, მათ შორის სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები, გაცემული სესხები, შეზღუდული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრები ბანკში, მოქცეულია სესხებისა და დებიტორული დავალიანებების შეფასების კატეგორიაში.

სესხები და დებიტორული დავალიანებები არაკოტირებული, არაწარმოებული ფინანსური აქტივებია, რომელთაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახადი, მათ გარდა, რომლის გაყიდვასაც გეგმავს კომპანია უახლოეს მომავალში. ისინი შეტანილია მიმდინარე აქტივებში, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც დაფარვის ვადა აღემატება 12 თვეს ანგარიშგების პერიოდის დასრულების შემდეგ. ისინი კლასიფიცირებულია, როგორც არამიმდინარე აქტივები.

სესხები და დებიტორული დავალიანებები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით პლუს საოპერაციო ხარჯები და შედეგად აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეს გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის განხორციელებულ ყველა გადახდილ და მიღებულ საკომისიოს, რომელიც წარმოადგენს მოქმედი საპროცენტო განაკვეთის, ტრანზაქციის ხარჯების და ყველა სხვა საპრემიო შენატანის თუ დისკონტის განუყოფელ ნაწილს. მოგება და ზარალი შესულია მოგება-ზარალის უწყისში, როდესაც სესხები და დებიტორული დავალიანებები არ არის აღიარებული ან გაუფასურებულია, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

2.11 ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც

ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

1.12 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

1.13 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტარნაჟაციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში (გარდა იმ შემთხვევისა, თუ გადავადებულია სხვა სრულ შემოსავალში, როგორც ფულადი ნაკადების ჰეჯირება).

საქართველოს ეროვნული ბანკის
ოფიციალური გაცვლითი კურსი

	USD	EUR	GBP
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.6766	3.0701	3.3955
გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.5922	3.1044	3.5005

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტარნაჟაციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და სამართლიანი ღირებულებით ასახული არაფულადი პუნქტები კონვერტაციას ექვემდებარება იმ დღის გაცვლითი კურსის გამოყენებით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა.

1.14 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი არის წლიური მოგების 15%. 2016 წელი ეს არის ბოლო საანგარიშგებო პერიოდი, რომლის დროსაც მოგების გადასახადის გაანგარიშება მოხდა ამ პრინციპით.

2018 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგვრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან. 2018 წლის განმავლობაში გადახდილი მოგების გადასახადის ხარჯი შეადგენს 1284,01 ლარს

1.15 გრანტები

საწარმოს გრანტები აღიარებულია მიღებული ან მისაღები აქტივის რეალური ღირებულებით. გრანტი, რომელიც არ მოითხოვს მომავალში გრანტის მიღებისგან გარკვეული პირობების შესრულებას, შემოსავალში აღიარდება მაშინ, როდესაც გრანტი მიღებულია ან მისაღებია. გრანტი, რომელიც ითვალისწინებს მომავალში გრანტის მიღებისგან გარკვეული პირობების შესრულებას, შემოსავლად მხოლოდ მას შემდეგ აღიარდება, როდესაც გრანტის ყველა პირობა შესრულდება. გრანტები უნდა აისახოს იმ აქტივისგან განცალკევებულად, რომელსაც ის ეკუთვნის. შემოსავალში აღიარებული გრანტები განმარტებით შენიშვნებში წარდგენილია განცალკევებულად. შემოსავლად აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილებამდე მიღებული გრანტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია როგორც განცალკევებული ვალდებულება.

1.16 გადავადებული გადასახადი

გადავადებული გადასახადი აღიარდება აქტივების, ვალდებულებების ან ფინანსურ ანგარიშგების სხვა მუხლების საბალანსო ღირებულებებსა და დაკავშირებულ საგადასახადო ბაზებს შორის სხვაობებისთვის (დროებითი სხვაობები). გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება ყველა დროებითი სხვაობისთვის, რომლებიც სამომავლოდ მოსალოდნელია რომ გაზრდის დასაბეგრ მოგებას, როდესაც აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულების ამოღება ან დაფარვა მოხდება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადავადებული საგადასახადო ვალდებულება გამომდინარეობს გუდვილის თავდაპირველი აღიარებიდან ან აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარებიდან იმ ოპერაციისთვის, რომელიც არ წარმოადგენს საწარმოთა გაერთიანებას და, ოპერაციის დროს, არც სააღრიცხვო მოგებაზე და არც დასაბეგრ მოგებასა და ზარალზე გავლენას არ ახდენს. გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარდება ყველა დროებითი სხვაობისთვის, რომლებიც მოსალოდნელია რომ შეამცირებენ სამომავლოდ დასაბეგრ მოგებას როდესაც

აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულება ამოღებული ან დაფარული იქნება, თუმცა: (i) მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია, რომ საწარმოს ექნება იმ ოდენობით დასაბეგრი მოგება, რომლის მიმართაც შესაძლებელი იქნება გამოსაქვითი დროებითი სხვაობების გამოყენება; და (ii) არა იმ შემთხვევაში, როდესაც გადავადებული საგადასახადო აქტივი წარმოიშვა აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარების გამო ისეთი ოპერაციის დროს, რომელიც არ არის საწარმოთა გაერთიანება და ოპერაციის განხორციელების დროს გავლენას არ ახდენს არც სააღრიცხვო მოგებაზე და არც დასაბეგრ მოგებასა ან ზარალზე. გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება გამოუყენებელი საგადასახადო ზარალისა და გამოუყენებელი საგადასახადო შეღავათის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში გადაწევის მიზნით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ იარსებებს ისეთი ოდენობის საგადასახადო მოგება, რომლის მიმართაც შესაძლებელი იქნება საგადასახადო ზარალისა და საგადასახადო შეღავათების გამოყენება. გადავადებული საგადასახადო აქტივების საბალანსო ღირებულება გადაისინჯება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის და კორექტირდება, რათა ასახოს მომავალი საგადასახადო მოგების მიმდინარე შეფასება. ნებისმიერი კორექტირება აისახება მოგებაში ან ზარალში. გადავადებული გადასახადები გამოიანგარიშება იმ საგადასახადო წესებისა და განაკვეთების თანახმად, რომლებიც მოსალოდნელია რომ გავრცელდება დასაბეგრი მოგების (საგადასახადო ზარალის) მიმართ იმპერიოდებში, როდესაც მოსალოდნელია გადავადებული საგადასახადო აქტივის რეალიზება ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულების დაფარვა საგადასახადო წესებისა და განაკვეთების გათვალისწინებით, რომლებიც ძალაში შესული ან არსებითად ძალაში შესულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

1.17 კაპიტალი

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ კომპანიის აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას.

1.18 დივიდენდების განაწილება

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად, იმ პერიოდში, როდესაც დამტკიცდება მათი განაწილება. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

1.19 ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები გაურკვეველი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა აღნიშნული ვალდებულების დაფარვისათვის და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

2.20 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები, და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

2.21 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარტოოდენ მაშინ, როდესაც არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ითვალისწინებს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვას და არსებობს განზრახვა, რომ ურთიერთგადაფარვა მოხდეს ნეტო სიდიდით, ან მოხდეს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა ერთდროულად.

2.22 აქტივების გაუფასურება, (გარდა მარაგისა) საწარმო მის აქტივებს გარდა მარაგისა, რომელიც გაუფასურებაზე ამოწმებს, მხოლოდ მაშინ თუ არსებობს გაუფასურების ინდიკატორები, რომლებიც მოითხოვება, რომ შეფასდეს ყოველის საანგარიშგებო თარიღისათვის. აქტივების გაუფასურება, გარდა მარაგისა, ფასდება ინდივიდუალურ დონეზე.

2.23 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა კომპანია ახორციელებს შეფასებებსა და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონიერულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა კომპანიის ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს გრძელვადიან განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ)

მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება

შენიშვნები

შენიშვნა I

ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობები	ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	საბიზლითივე ფონდი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2016	36,569	520,654	77,063	4,632	333,801	157,848	55,116	9,796	1,195,480
შემოსვლა		42,462	45,409	-	31,789	7,735	5,743	-	
გადაფასება									
გასვლა	-	-		120	15,757	8,766		3,296	
31 დეკემბერი 2017	36,569	563,116	122,472	4,512	349,834	156,817	60,860	6,500	1,300,680
შემოსვლა		25,517		-	71,035	9,850	1,027	-	107,429
გადაფასება	740,341	3,180,124							3,920,465
ცვეთის ელიმინაცია	-	84,760		-		-		-	84,760
31 დეკემბერი 2018	776,910	3,683,997	122,472	4,512	420,869	166,667	61,887	6,500	5,243,814
ცვეთა და გაუფასურება									
01 იანვარი 2016	-	-	-	-	-	-	-	-	-
პერიოდის ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-	-
ელიმინაცია	-	-		-		-		-	-
გასვლა	-	-		-		-		-	-
01 იანვარი 2017	-	78,252	47,100	4,632	215,537	130,660	-	9,796	485,977
პერიოდის ცვეთა	-	6,508	7,990	-	35,797	10,575		-	60,870
ელიმინაცია	-	-		-		-		-	-
გასვლა	-	-		120	9,484	5,264		3,296	18,164
01 იანვარი 2018	-	84,760	55,090	4,512	241,851	135,971	-	6,500	528,683
პერიოდის ცვეთა	-	52,628	8,771		41,878	6,850		-	110,127
ელიმინაცია	-			-		-		-	-
გასვლა	-	84,760		-		-		-	84,760
31 დეკემბერი 2018		52,628	63,860	4,512	283,728	142,821	-	6,500	554,050
წმინდა საბალანსო ღირებულება									
31 დეკემბერი 2016		78,252	47,100	4,632	215,537	130,660	-	9,796	485,977
31 დეკემბერი 2017	36,569	478,356	67,383	-	107,983	20,846	60,860	-	771,997
31 დეკემბერი 2018	776,910	3,631,369	58,612	-	137,140	23,846	61,887	-	4,689,764

გადაფასების თარიღი: 01.01.2018. გადაფასებულია მხოლოდ შენობების კლასი და მიწა. გადაფასება ჩატარებულია დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ ანალოგთა მეთოდით

ცვეთის მეთოდი: წრფივი

2018 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები წარმოადგენდა კომპანიის მიერ აღებული საბანკო იპოთეკური სესხის უზრუნველყოფას (შენიშვნა 10).

თუ შენობების კლასი შეფასებული იქნებოდა თვითღირებულების მოდელით, მაშინ წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2018-ისთვის იქნებოდა 496596 ლარი.

2018 წელს შენობების თვითღირებულებაში ჩართულია კაპიტალიზირებადი ხარჯები 25517 ლარი;

31.12.2018

2. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	პროგრამული უზრ. ლიცენზია	ავტორიაზაცია, აკრედიტაცია	სხვა	ჯამი
2018 წლის 01 იანვრისათვის	19319	0	1583	20902
შემოსვლა	0	33356	0	33356
გასვლა		0	0	0
2018 წლის 31 დეკემბრისათვის	19319	33356	1583	54258

დაგროვილი ცვეთა

დაგროვილი ცვეთა 2018 წლის 01 იანვრისათვის	4552	0	697	5252
დაგროვილი ცვეთა 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	6378	1390	795	8563

საბალანსო ღირებულება

საბალანსო ღირებულება 2018 წლის 01 იანვრისათვის	14767	0	886	1565
საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	12941	31966	788	45695

3. დებიტორული დავალიანება

	2018
	ლარი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	150
მოთხოვნები სტუდენტების მიმართ (ნეტო)	195866
დაბრუნებას დაქვემდებარებული გადასახადები	4048
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	0
მოთხოვნები გადახდილი ავანსების მიხედვით	7550
სხვა მოთხოვნები	138962
სულ დებიტორული დავალიანება	346576

4. საექვო ვალების ანარიცხები

კომპანია საექვო ვალების ანარიცხებს ქმნის, რათა აღრიცხოს მომხმარებლების მიერ გადახდების განხორციელების უზუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საექვო ვალების ანარიცხების ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავისი შეფასების საფუძველად იყენებს საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, დებიტორული დავალიანების ნაშთების ხანდაზმულობას, წარსულში ჩამოწერის გამოცდილებას, მომხმარებლის კრედიტუნარიანობასა და გადახდის პირობების ცვლილებებს. ეკონომიკაში, დარგში ან კონკრეტული მომხმარებლის გარემოებების ცვლილებებმა შეიძლება განაპირობოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საექვო ვალების ანარიცხების ცვლილება.

	2018
საექვო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	(44,175)
სულ	(44,175)

5. ფული და ფულის ექვივალენტები

	2018
	ლარი
ფული და ფულადი სასრების ექვივალენტები	106487

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

6. მიღებული სესხები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიღებული სესხები შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: სესხები პარტნიორებისგან

	2018
	ლარი
შპს ევროპის უნივერსიტეტი ხელ.N 14.12. 2018	50 000
პროცენტები	196
სულ თანხა	50196

2018 წლის 12 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, 2018 წლის 12 დეკემბერს შპს ქუთაისის უნივერსიტეტმა მიიღო შპს ევროპის უნივერსიტეტი-სგან სესხი 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით. სესხის მიღება მოხდა ოთხ ტრანშად 11 წლიური საპროცენტო განაკვეთით.

სესხის ვადა 24 თვე. სესხი და მასზე დარიცხული სარგებელი უნდა დაბრუნდეს ვადის გასვლისთანავე. სესხის დასრულების თარიღს წარმოადგენს 2020 წლის 12 დეკემბერი.

2018 წლის 31 ოქტომბერს შპს „ევროპის უნივერსიტეტსა“ 100% წილის მფლობელი) და ბანკს შორის გაფორმდა საბანკო კრედიტის ხელშეკრულება N3818196-10180759, რომლის საფუძველზეც ბანკი გასცემს საბანკო კრედიტს შპს „ევროპის უნივერსიტეტზე“ შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ 100% წილის ნასყიდობის ფასის გადახდის დასაფინანსებლად.

შპს ქუთაისის უნივერსიტეტის მიერ ფლობილი უძრავი ქონება მდებარე: ქ. ქუთაისი, ა.წერეთლის ქუჩა N13 (საკადასტრო კოდი 03.03.26.123) წარმოადგენს სესხის უზრუნველყოფას სს „თიბისი ბანკის“ სასარგებლოდ.

7. კრედიტორული დავალიანება

	2018
	ლარი
გარიგებებისა და მომსახურებისთვის გადასახდელი თანხები	11367
გამომუშავებული შემოსავალი (წინასწარ ანაზღაურებული სწავლის საფასური)	48544
სახელფასო ვალდებულებები	
სულ კრედიტორული დავალიანება	59911

გარიგებებისა და მომსახურებისთვის გადასახდელ ვალდებულებებში იგულისხმება სხვადასხვა სახელშეკრულებით ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია შესაბამის ხარჯებთან და რომლებიც გაწეულია, მაგრამ არ არის გადახდილი წლის დასასრულს.

2018 წლის ბოლოსთვის კრედიტორული დავალიანების 2560 ლარით მატება წარმოადგენს არაფულადი მუხლებისგან გამოწვეულ სხვაობას.

კრედიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას ანგარიშგების თარიღისთვის.

მიღებული ავანსები 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კომპანიას ერიცხევა ავანსად მიღებული თანხები 48544 ლარი, რომელიც ბალანსის მიღებული ავანსის მუხლში არის წარმოდგენილი. მიღებული ავანსები წარმოიშობა, მაშინ როდესაც თანხა მიღებულია წინასწარ. წინასწარგადახდები (ავანსები) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს ვალდებულებას იქამდე, სანამ არ მოხდება მისი გამომუშავება. როგორც კი ავანსი გამომუშავდება, იმავდროულად ვალდებულება შემცირდება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შემოსავალი აღიარდება. წინასწარ გადახდილი თანხების 100% წარმოადგენს სტუდენტებისაგან მიღებულ ავანსებს.

8. ამონაგების აღიარება.

საქონლის ან მომსახურების მიწოდების შედეგად წარმოშობილი შემოსავალი აღიარებულია შემოსავლებში შესაბამისი საქონლის ან მომსახურების გაცვლისას. სტუდენტებზე სასწავლო კურსების სწავლის საფასურის გადახდის ვალდებულება განაწილებულია საანგარიშგებო წლის მიხედვით ინდივიდუალურად შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად. შემოსავალი აღიარებულია აკადემიური მონაკვეთების შესაბამისად

სემესტრში არსებული სასწავლო დღეების პროპორციულად. მოკლევადიანი კურსებისთვის, შემოსავალი აღიარდება კურსის ხანგრძლივობის პერიოდში. შემოსავლები განისაზღვრება მიღებული კომპენსაციების ან მოთხოვნების სამართლიანი ღირებულებით, გამოკლებული დაბრუნებები და სავაჭრო ფასდაკლებები.

შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ შემოსავლების 78,7% მოსწავლეების მიერ გადახდილი სწავლის საფასურს შეადგენს. დარჩენილი შემოსავლები მოიცავს გრანტებს (18,8%), გაქირავებული ფართებიდან მიღებულ შემოსავალს, წიგნის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებს და სხვა.

სწავლის საფეხური	სტუდენტების რაოდენობა	
	2018	
	სწავლის საფასური	
ბაკალავრიატი	448	2250
მაგისტრატურა	43	2250
დოქტორანტურა	15	2500

ამონაგები	2018
სწავლის საფასური	716499
კურსდათავრებულთა დიპლომის თანხა	280
შემოსავლები იჯარიდან	22060
შემოსავლები წიგნების და ჟურნალების რეალიზაციიდან	0
სხვა შემოსავლები	0
საგრანტო შემოსავლები	171157
ჯამი	909996.61

საგრანტო შემოსავლები და შესაბამისი ხარჯები

	2018
საგრანტო შემოსავლები	171157

საგრანტო პროექტებთან დაკავშირებული ხარჯები	2018
ტექნიკა	57128
არამატერიალური აქტივები	0
ხელფასები (მკვლევარები და ადმინისტრაცია)	57410
მივლინება	57719
სხვა ხარჯები (თარგმნა და საკონსულტაციო ხარჯი)	14883
სულ ხარჯები	187140

9. არასაოპერაციო შემოსავლები

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც მოსალოდნელ სამომავლო ფულად გადახდებს/შემოსავლებს ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის, ან სადაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში ადისკონტირებს ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე (მსს ფასს 11.20 განყოფილება)

საპროცენტო შემოსავლების ფორმირება ხდება თავისუფალი ფულადი სახსრების სადეპოზიტო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებზე საპროცენტო სარგებლის დარიცხვის შედეგად.

არასაოპერაციო შემოსავლები	2018
საპროცენტო შემოსავლები	1490.63

შემოსავალი საკურსო სხვაობიდან	5418.78
შემოსავალი ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	260
ძირითადი საშუალებების გადაფასების დადებითი შედეგი	3920464.94
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	755.65
ჯამი	3928390

არასაოპერაციო ხარჯები	2018
საპროცენტო ხარჯები	4410
ზარალი საკურსო სხვაობიდან	6264
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	0
ჯამი	10675

10. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები (მ.შ გრანტით დაფინანსებული)

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2018
შრომის ანაზღაურება	757778
დაცვის და სახანძრო უსაფრთხოების ხარჯი	1978
საოფისე და საკანცელარიო ხარჯი	5133
კომუნალური ხარჯი	20580
კომუნიკაციის ხარჯი	6981
დაზღვევა	839
კომპიუტერის და პრინტერის ხარჯები	1599
საკონსულტაციო, აუდიტორული და თარჯიმნის მომსახურების ხარჯები	9867
ცვეთა და ამორტიზაცია	113441
სხვა საგადასახადო ხარჯი	15219
ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯი	1923
საწვავის ხარჯი	275
სტუდენტური ღონისძიებების და თვითმართვულობის ხარჯები	21256
ბანკის საკომისიო	1684
სხვა საერთო ხარჯი	55692
მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	44175
საგრანტო პროექტებთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც ასახული არ არის სხვა მუხლში	54637
ჯამი	1113054.78

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შევსებების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლობები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლებისგან. კომპანიას ყავს როგორც შტატიანი ასევე შტატგარეშე თანამშრომლები, თუმცა მათი სახელფასო ხარჯები და შენატანები საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში არ განსხვავდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად. გასათვალისწინებელია ის ფაქტი რომ პერსონალის ხარჯები მთლიანად არის ასახული საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ხელფასის, მივლინების და ცვეთის ხარჯები.

11. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან დაკავშირებული მხარის გამჟღავნებული ინფორმაცია

მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს შესაძლებლობა აკონტროლოს მეორე მხარე ან შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის გათვალისწინებისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

დაკავშირებულ მხარეებს შეუძლიათ შევიდნენ გარიგებებში, რომელში შესვლაც არდაკავშირებულ მხარეებს არ შეუძლიათ, და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის არ შეიძლება გაფორმდეს ისეთივე პირობებით და მოცულობებით როგორც არდაკავშირებულ მხარეებს შორის. ყველა დაკავშირებულ მხარესთან გარიგება, რომელიც წარმოდგენილია ქვემოთ განხორციელდა კომერციულ საფუძველზე.

საერთო კონტროლის ქვეშ ორგანიზაციები შედგება კომპანიის პარტნიორი კომპანიებისგან, რომლებიც კონტროლდება უშუალოდ ერთი ხელმძღვანელი ორგანიზაციის მიერ.

ინფორმაცია უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პერსონალის კომპენსაციის შესახებ - უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაში იგულისხმება ის პირები, მათ შორის ნებისმიერი დირექტორი (აღმასრულებელი ან სხვა ფუნქციის შემსრულებელი), რომლებსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ მინიჭებული აქვთ საწარმოს საქმიანობის დაგეგმვის, მართვისა და კონტროლისათვის აუცილებელი უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა. კომპენსაცია მოიცავს დაქირავებულ პირთა ყველა გასამრჯელოს (რომლებიც განსაზღვრულია 28-ე განყოფილებით - „დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები“), მათ შორის აქციებზე დაფუძნებული გადახდის ფორმით მიღებულ გასამრჯელოს

დაქირავებულ პირთა გასამრჯელო მოიცავს ნებისმიერი ფორმის ანაზღაურებას, რომელიც გადახდილია, გადასახდელია ან უზრუნველყოფილია საწარმოს მიერ, ან მისი სახელით (მაგალითად, მშობელი საწარმოს ან აქციონერის მიერ), საწარმოსათვის გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. გარდა ამისა, მოიცავს ისეთი სახის ანაზღაურებასაც, რომელიც გადაიხდება მოცემული საწარმოს მშობელი საწარმოს სახელით, საწარმოსთვის მიწოდებული საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ.

საწარმომ უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების მთლიანი ოდენობის შესახებ.

	2018
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელთა ანაზღაურება	ლარი
ხელფასები და დანამატები	52963,52
სულ თანხა	52963,52

ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების შესახებ - დაკავშირებულ მხარეთა ოპერაცია არის რესურსების, მომსახურების ან ვალდებულებების გადაცემა ანგარიშვალდებულ საწარმოსა და დაკავშირებულ მხარეს შორის, მიუხედავად იმისა, მოითხოვება თუ არა თანხის გადახდა. თუ საწარმოს გააჩნია დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციები, მან უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობების ხასიათის, ასევე ამ ოპერაციების, დაუფარავი ნაშთებისა და ვალდებულებების შესახებ, რაც აუცილებელია ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ურთიერთობის პოტენციური გავლენის გასაგებად.

2018 წლის 12 დეკემბერს შპს ქუთაისის უნივერსიტეტმა გააფორმა სესხის ხელშეკრულება შპს „ვეროპის უნივერსიტეტთან“ (დაკავშირებული მხარე) წლიური 11%-ის გადახდის პირობით. ეროვნული ბანკის ინფორმაციით სესხის გაცემის მომენტში სესხზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთი ფიქსირდება 10,9%. დაკავშირებულ მხარესთან ოპერაცია განხორციელდა იმ გარიგებათა პირობების ანალოგიურად, რომელსაც „გამლილი ხელის მანძილის“ პრინციპი ითვალისწინებს.

12. იჯარით მიღებული შემოსავალი - კომპანია, როგორც მეიჯარე

კომპანიას 2018 წლების განმავლობაში უფიქსირდება საიჯარო შემოსავლები. საიჯარო შემოსავლების ძირითად ნაწილს წარადგენს სააქტო დარბაზის მოკლევადიანი (საათობრივი) გაქირავებით მიღებული შემოსავალი,

სხვა შემოსავლები	2018
იჯარიდან შემოსავლები	22060

13. სხვა მოთხოვნები

1991 16 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს „ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის ისტიტუტსა“ (რესტორი ვარლამ ნესტორის ძე ქელბაქიანი) და ქუთაისის განათლების სამმართველოს (უფროსი გოჩა ბუზუტის ძე გოქაძე) შორის გაფორმდა ხელშეკრულება შემდეგზე: „ინსტიტუტი კისრულობს ვალდებულებას სამმართველოსთვის ადმინისტრაციული შენობის ასაგებად გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე, მდებარე ქ. ქუთაისში, წერეთლის ქ. N13-ში, საკუთარი სახსრებით გააგრძელოს დამტკიცებული პროექტის შესაბამისად დაწყებული მშენებლობა და დაასრულოს იგი.

სამმართველო კისრულობს ვალდებულებას ინსტიტუტს გადასცეს გამოყოფილი მიწის ნაკვეთი ყველა დამხმარე ნაგებობით და დაწყებული მშენებლობით, აგრეთვე პროექტი, ნებართვა და ყველა ტექნიკური დოკუმენტაცია თუ ხელშეკრულება, რომელიც დაკავშირებულია აღნიშნული მშენებლობის წარმოებასთან.

ინსტიტუტი ვალდებულია შენობის ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ სამმართველოს გადასცეს საკუთრად ექვსი ოთახი შეთანხმების შესაბამისად.

ქ. ქუთაისის გამგეობის 1992 წლის 25 მარტის N4/51-136 გადაწყვეტილებით მშენებლობის დამთავრებისა და ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ ინსტიტუტი სამმართველოს გადასცემს შენობის ნაწილს, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით.

შპს „ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი“ ბაზაზე რომელიც დაარსებულია საქართველოს განათლების სამინისტროს 1991 წლის 08 ოქტომბრის ლიცენზიით, საინიციატივო ჯგუფის გადაწყვეტილებით შეიქმნა შპს „ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი“ (სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი 1996 წლის 10 სექტემბერი, სასამართლოს დადგენილების N12/4-362, საიდენტიფიკაციო N212677094)

ვინაიდან შპს „ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი“ ს/N212677094 შექმნილია „ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის ისტიტუტის“ ბაზაზე, იგი 1991 წლის 16 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს „ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის ისტიტუტსა“ (რესტორი ვარლამ ნესტორის ძე ქელბაქიანი) და ქუთაისის განათლების სამმართველოს (უფროსი გოჩა ბუზუტის ძე გოქაძე) შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში გამოდის უფლებამონაცლედ და შესაბამისად ეკისრება ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულების შესრულება.

შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“ (ყოფილი შპს „ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის ისტიტუტსა“) ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების მომენტში (ექსპლუატაციაში მიღების აქტი N21, 10/02/2005 სახელმწიფო მიმღები კომისია) არ მოუხდენია 1991 წლის 16 დეკემბრის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

2018 წლის 01 იანვრამდე არსებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული და ასახული არ ყოფილა აღნიშნული ერთის მხრივ აქტივი, ხოლო მეორეს მხრივ ვალდებულები.

2018 წლის 02 ნოემბერს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ევროპის უნივერსიტეტმა (ს N201954956) შეიძინა შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ 100% წილი - ლელა ქელბაქიანისგან (პ N 60002013527) - 50% ; ლაშა ლაღიძისგან (პ N 60002000479)- 50%;

შპს „ქუთაისის უნივერსიტეტის“ - 50% წილის მფლობელმა ლელა ქელბაქიანმა (პ N 60002013527) ივალდებულა 1991 წლის 16 დეკემბრის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

აუდიტის მიმდინარეობის ეტაპზე დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ შეფასდა ქუთაისის უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, საიდანაც განიზაღვრა 6 ოთახის (საშუალოდ 100 კვ.მ ფართი) რეალური ღირებულება 138962 ლარად. შესაბამისად განათლების სამინისტროს მიმართ არსებული ვალდებულებების რეალური ღირებულება შეფასებული იქნა ღირებულება 138962 ლარად.ამავდროულად ამავე ღირებულებით წარმოიქმნა მოთხოვნა ლელა ქელბაქიანის მიმართ.

2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული და ასახულია აღნიშნული ერთის მხრივ როგორც აქტივი (სხვა გრძელვადიანი მოთხოვნების მუხლში), ხოლო მეორეს მხრივ ვალდებულები. (სხვა გრძელვადიანი ვალდებულებების მუხლში)

14. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 30 იანვარს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ პერიოდის მოვლენები არ წარმოადგენს მაკორექტირებელ მოვლენებს, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს აქტივებსა და ვალდებულებებზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ან შემოსავალზე, ხარჯებსა ან ფულადი სახსრების მოძრაობაზე, რომლებიც აღიარებული იყო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

15. მსჯელობები და შეფასების განუსაზღვრელობის საკვანძო მიზეზები

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გააკეთა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, რომლებსაც ზეგავლენა აქვთ გარკვეული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებზე, ხარჯებსა და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე. კომპანია პერიოდულად ამოწმებს ასეთ შეფასებებს და დაშვებებს, რათა დარწმუნდეს, რომ ისინი მოიცავს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ხელთ არსებულ ყველა სათანადო ინფორმაციას. თუმცა, ეს არ გამორიცხავს რეალური ციფრების შეფასებულ მონაცემებთან განსხვავებულობის ფაქტს.

ქვემოთ განხილულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში მიღებული შეფასებები და დაშვებები, რომლებსაც მეტწილად ზეგავლენა აქვთ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ რაოდენობებზე, და რომლებიც შემდგომი ფინანსური წლის განმავლობაში იწვევენ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების არსებითი კორექტირების რისკს.

16. გადავადებული საგადასახადო აქტივები

გადავადებული საგადასახადო აქტივის საბალანსო ღირებულება გადაისინჯა 2018 წლის 01 იანვრის მდგომარეობით და კორექტირების თანხა აისახა მოგებაში - ზარალში. კორექტირების თანხამ შეადგინა 13139 ლარი

17. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად, საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარი შეფასებებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევაზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიაღებება კომპანიის სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარჩებები.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. კომპანიის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შევითხვები გაუზრდეთ შესაბამისი უფლებამოსილ ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა უფრო დამაჯერებელ და დახვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისა და საგადასახადო შემოწმებების დროს. ასევე შესაძლებელია, რომ იმ ოპერაციებისა და საქმიანობების მიმართ, რომელთა მიმართაც ადრე არ ჰქონიათ შევითხვები, ახლა გაჩნდეს შევითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები.

ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად

საკრედიტო რისკი. კომპანიას აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ კონტრაგენტებისათვის პროდუქციის კრედიტით მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით:

აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგამოქცეობის ზეგავლენა პოტენციური საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარების შემცირების მიზნით, უმნიშვნელოა.

კომპანია მის მიერ აღებული საკრედიტო რისკების სტრუქტურირებას ახდენს კონტრაგენტების, ან კონტრაგენტების ჯგუფების მიმართ აღებული რისკის და მოცულობაზე შეზღუდვების დადგენით. საკრედიტო რისკის შეზღუდვებს რეგულარულად ამტკიცებს ხელმძღვანელობა. ამგვარი რისკების მონიტორინგი განმეორებით ხდება და ექვემდებარება წლიურ, ან უფრო მეტი სიხშირით გადასინჯვას.

საბაზრო რისკი. კომპანია იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: ა) უცხოურ ვალუტებში, ბ) პროცენტთან აქტივებსა და ვალდებულებებში, და დ) სააქციო კაპიტალის პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკებისადმი მგძნობიარობა ეფუძნება ფაქტორში მომხდარ ცვლილებას, ხოლო სხვა ფაქტორები უცვლელად განიხილება. ნაკლები ალბათობა არსებობს, რომ ამას ადგილი ექნება პრაქტიკაში და ზოგიერთ ფაქტორში ცვლილებები შესაძლოა დაკავშირებული იქნეს, - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთსა და უცხოურ სავალუტო განაკვეთებში მომხდარ ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი. უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები (საბანკო ბალანსები, დეპოზიტები და დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებები (გადასახდელები) იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში.

